ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
საბჭოს 2009 წლის 30 ოქტომბრის სხდომის

ოქმი №9

სხდომას ესწრებოდა: საბჭოს 75 წევრთაგან 31 (კვორუმი – 37, სია თან ერთვის).

დღის წესრიგი:

1. აკადემიური მრჩევლის სამსახურის შექმნის შესახებ

   მომხს: ნ. დურგლიშვილი, ასოცირებული პროფესორი

2. ბაკალავრიატის საფეხურის 2008-2009 სასწავლო წლის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის მინიჭების შესახებ

   მომხს: რ. ჯორბენაძე, ასოცირებული პროფესორი

3. გერმანისტიკაში უცხო ენის მაინორის შემოღების შესახებ

   მომხს: ა. ბერძენიშვილი, ასოცირებული პროფესორი

4. უცხო ენების სწავლების შესახებ საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულებაზე

   მომხს: გ. გოგსაძე, პროფესორი

5. კურიკულუმში ცვლილების შეტანის შესახებ

   მომხს: ა. ბერძენიშვილი, ასოცირებული პროფესორი

6. აკადემიური პერსონალის სავალდებულო დატვირთვების შესახებ

   მომხს: თ. დოლბაია, ასისტენტ პროფესორი

7. საბჭოს წევრთა როტაციის შესახებ

   მომხს: თ. დოლბაია, ასისტენტ პროფესორი

8. თსუ გამომცემლობის მიერ წიგნების გამოცემის შესახებ

   მომხს: ი. სალუქვაძე, პროფესორი

9. ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩასაბარებელი საგნებისთვის კოეფიციენტების მინიჭების შესახებ

მომხს: გ. გოგსაძე, პროფესორი

10. სამაგისტრო პროგრამებში ჩასარიცხ სტუდენტთა რაოდენობრივი ცვლილებების შესახებ

მომხს: რ. ჯორბენაძე, ასოცირებული პროფესორი

11. სტუდენტებისთვის სასწავლო საკითხავი მასალის თარგმნის შესახებ

მომხს: თეონა ლავრელაშვილი, სტუდენტი

12. მობილობით გადმოსული სტუდენტების სემესტრის ადმინასტრაციული რეგისტრაციის ნიშნით განსაზღვრის შესახებ.

მომხს: თ. დოლბაია, ასისტენტ პროფესორი

განცხადებები:

1. გია ჟორჟოლიანი – აკადემიური კონკურსების ჩატარების შესახებ
2. იაგო კაჭკაჭიშვილი – დამხმარე პერსონალის ატესტაციის შესახებ
3. დ. ნადირაშვილისა და გ. ყიფიანის მოთხოვნა.

მოისმინეს: 1. აკადემიური მრჩევლის სამსახურის შექმნის შესახებ მოხსენება გააკეთა ნ. დურგლიშვილმა (ოქმს თან ერთვის). მან დამსწრეთ წარუდგინა ქ-ნი მ. ლომოური, რექტორის მრჩეველი და სტუდენტთა ჯგუფი, რომლებიც მუშაობდნენ ამ პროექტზე.
აზრი გამოთქვეს: ზ. აბაშიძემ, თ. გაგოშიძემ, გ. გოგსაძემ, ნ. ჯავახიშვილმა. მათ აღნიშნეს, რომ ცალკე სამსახურის შექმნა აუცილებელი არ არის. უნდა გამოიცეს ცნობარი, ვებგვერდზე განთავსდეს ამომწურავი მასალა და ტუტორებს ჩაუტარდეთ ტრეინინგი.
დაადგინეს: მუშა ჯგუფს მიეცეს საშუალება იმუშაონ და სრულყონ პროექტი.

მოისმინეს: 2.ბაკალავრიატის საფეხურის 2008-2009 სასწავლო წლის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის მინიჭების შესახებ.
მომხსენებელმა რ. ჯორბენაძემ დასამტკიცებლად წარმოადგინა ბაკალავრის ხარისხის მისანიჭებელ კურსდამთავრებულთა სია.
აზრი გამოთქვეს: შ. აბზიანიძემ და თ. გაგოშიძემ, რომლებმაც მოითხოვეს სამართლებრივი საფუძველი ამ გადაწყვეტილებისათვის.
დაადგინეს: მიენიჭოთ ბაკალავრის ხარისხი სიაში (ოქმს თან ერთვის) წარმოდგენილ კურსდამთავრებულებს.

მოისმინეს: მე-3 და მე-5 საკითხები - გერმანისტიკაში უცხო ენის მაინორის შემოღებისა და კურიკულუმში ცვლილებების შესახებ გადაიდო.

მოისმინეს: 4. უცხო ენების სწავლების შესახებ საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულებაზე მოხსენებაში გ. გოგსაძემ საბაკალავრო პროგრამაში ცვლილებების შეტანა (ოქმს თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს: ი. სალუქვაძემ, რ. ჯორბენაძემ.
დაადგინეს: დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს მეორე უცხო ენაში კრედიტები შეუმცირდეთ 20-დან 10-მდე და დარჩენილიკრედიტები დაფარონ საზოგადოებრივი გეოგრაფიის კურიკულუმის სავალდებულო-არჩევითი კურსებიდან.

მოისმინეს: 6. აკადემიური პერსონალის სავალდებულო დატვირთვების შესახებ ინფორმაცია გააკეთა თ. დოლბაიამ.
აზრი გამოთქვეს: ლ. სურმანიძემ, თ. გაგოშიძემ, ი.სალუქვაძემ.
დაადგინეს: სავალდებულო დატვირთვები უცილობლად უნდა შესრულდეს და მოწვეულთა რაოდენობა შემცირდეს.

მოისმინეს: 7. საბჭოს წევრთა როტაციის შესახებ მომხსენებელმა თ. დოლბაიამ დამსწრეთ გააცნო საბჭოში მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ.
აზრი გამოთქვეს: ზ. დავითაშვილმა, ი. კაჭკაჭიშვილმა, ვ. დოლიძემ.
დაადგინეს: 1. მ. ელიავას ნაცვლად საბჭოს წევრად შემოვიდეს მ. დესპოტაშვილი.
2. მ. მუსხელიშვილის ნაცვლად – გ. აბესაძე.
3. ფ. ასანიშვილის ნაცვლად, რომელიც 10 თვიანი მივლინებითაა უცხოეთში, დროებით, მის ჩამოსვლამდე საბჭოს წევრად შემოვიდეს მ. ბურძენიძე.

მოისმინეს: 8. თსუ გამომცემლობაში წიგნების დაბეჭდვისთვის შუამდგომლობა ითხოვა საზოგადოებრივი გეოგრაფიის სრულმა პროფესორმა ი. სალუქვაძემ
აზრი გამოთქვეს: ზ. დავითაშვილმა, გ. გოგსაძემ
დაადგინეს: მიეცეს საბჭოს სახელით რეკომენდაცია ი. სალუქვაძეს თსუ გამომცემლობაში წიგნების დაბეჭდვისთვის.

მოისმინეს: 9.ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩასაბარებელი საგნებისთვის კოეფიციენტების მინიჭების შესახებ მოხსენება გააკეთა გ. გოგსაძემ.
აზრი გამოთქვეს: თ. გაგოშიძემ, ლ. სურმანიძემ, ნ. ჯავახიშვილმა, შ აბზიანიძემ
დაადგინეს: მეოთხე სავალდებულო საგნად განისაზღვროს: მათემატიკა, გეოგრაფია, ისტორია. თითოეულ საგანს მიენიჭოს ერთნაირი კოეფიციენტი – 3.

მოისმინეს: 10. რ. ჯორბენაძის ინფორმაცია, სამაგისტრო პროგრამებში ჩასარიცხ სტუდენტთა რაოდენობრივი ცვლილებების შესახებ.
აზრი გამოთქვეს: ი. სალუქვაძემ, თ. დოლბაიამ, ა. ბერძენიშვილმა.
დაადგინეს: სამაგისტრო პროგრამებში ჩასარიცხ სტუდენტთა რაოდენობაში შეტანილ იქნას ცვლილებები შემდეგი სახით:

1. სამაგისტრო პროგრამიდან "სოციალურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდები" 10 ადგილი გადავიდეს სამაგისტრო პროგრამაში "სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ფსიქოლოგია".
2. სამაგისტრო პროგრამიდან "კონფლიქტების ანალიზი და მართვა" 1 ადგილი გადავიდეს სამაგისტრო პროგრამაში "ბავშვთა და მოზარდთა პრობლემების ფსიქოდიაგნოსტიკა და კონსულტირება".

მოისმინეს: 11. სტუდენტებისთვის სასწავლო საკითხავი მასალის თარგმნის შესახებ ისაუბრა სტუდენტმა თეონა ლავრელაშვილმა, რომელმაც აღნიშნა თუ რამდენად რთულია სტუდენტებისთვის უცხოენოვანი ლიტერატურის გამოყენება და თხოვნით

მიმართა საბჭოს, რათა სტუდენტთა ჯგუფს, რომელიც მზადაა გადათარგმნოს რიდერები, პროფესორ-მასწავლებლებმა გაუწიონ კონსულტაცია.
აზრი გამოთქვეს: დ. ნადირაშვილმა, ნ. ჯავახიშვილმა.
დაადგინეს: ბაკალავრიატის საფეხურისთვის საჭირო რიდერების თარგმნა სტუდენტთა მიერ განხორციელდეს პროფესორთა რეკომენდაციებისა და ვიზირების შემდეგ.

მოისმინეს: 12. მობილობით გადმოსული სტუდენტების სემესტრის ადმინასტრაციული რეგისტრაციის ნიშნით განსაზღვრის შესახებ თ. დოლბაიას ინფორმაცია.
აზრი გამოთქვეს: ი. სალუქვაძემ, თ. გაგოშიძემ, შ. აბზიანიძემ.
დაადგინეს: ეთხოვოს სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტს რათა მობილობით გადმოსულ სტუდენტთა რეგისტრაცია, ნაცვლად აკადემიური რეგისტრაციისა განისაზღვროს ადმინასტრაციული რეგისტრაციის ნიშნით.

განცხადებები გააკეთეს:

1. გია ჟორჟოლიანმა დასვა საკითხი აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის წესის მკაფიოდ გაწერის, საარჩევნო კომისიისა და საკონკურსო კრიტერიუმების შერჩევის აუცილებლობის შესახებ.

დაადგინეს: შეიქმნას მუშა ჯგუფი, რომელიც შეისწავლის ჩატარებული კონკურსების შედეგების მიხედვით არსებული კრიტერიუმების მართებულობას, შექმნის ახალ რეგულაციებს და განსახილველად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს. მუშა ჯგუფში შევიდნენ: გ. ჟორჟოლიანი, ლ. სურმანიძე, ი. კაჭკაჭიშვილი, ნ. დურგლიშვილი, ა. ბერძენიშვილი, ვ. დოლიძე, რ. ჯორბენაძე.

2. იაგო კაჭკაჭიშვილმა – გამოთქვა პროტესტი დამხმარე პერსონალის ატესტაციის შესახ
3. დ. ნადირაშვილისა და გ. ყიფიანის მოთხოვნის განხილვა გადაიდო.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე: ნ. ბელქანია, სრული პროფესორი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი: თ. დოლბაია, ასისტენტ-პროფესორი

ფაკულტეტის საბჭოს დღის წესრიგში, გთხოვთ ჩართოთ წარდგინების საკითხი

(ბაკალავრის ხარისხის მინიჭება)

პოლიტოლოგიის მიმართულება:

1. **არჩვაძე ეკატერინე** (2004-ში ჩარიცხული სტუდენტი, რომელსაც 241 კრედიტი აქვს და 10 კრედიტი აქვს ინგლისურ ენაში. კრედიტების აღიარების კომისიამ დადებითად გადაწყვიტა)
2. **სამადაშვილი სალომე** (ფინანსური დავალიანების გამო არ იყო დაშვებული, საკითხი გარკვეულია სასწავლო დეპარტამენტში)
3. **ჩუგუაშვილი სოფიკო** (უწყისი წარმოადგინეს გვიან)
4. **აფხაიძე სალომე** (შეთანხმებულია სასწავლო დეპარტამენტში)
5. **წკეპლაძე თემურ** (გამორჩენილია სიიდან)

სოციოლოგიის მიმართულება:

6. **ბალაშვილი თამარ**

ფსიქოლოგიის მიმართულება:

7. **მათეშვილი ნათია** – (გაცვლითი პროგრამით იმყოფებოდა ქ.სალონიკის ალექსანდრეს ტექნოლოგიურ ინსტიტუტში 2009 წლის გაზაფხულის სემესტრში- ბაზაში აქვს 235 კრედიტი , დაემატება 32 კრედიტი)

8. **გუნცაძე თამარ** (უწყისი მოგვიანებით იქნა ჩასმული ბაზაში)

საერთაშორისო ურთიერთობები

9. **ბეროშვილი ქეთევანი**
10. **ბექუაშვილი ბესიკი** (უწყისმა დაიგვიანა)

27.10.09

ს/წ. პროცესის მართვის სამსახურის უფროსი ნ. მათიაშვ

30 ოქტომბერი
სულ: 78.
ესწრება: 31
საპატიო მიზეზ: 3

ფაკულტეტის საბჭოს წევრთა სია

ფსიქოლოგიის მიმართულება

1. გაგოშიძე თამარ
2. მაღრაძე გუგული
3. ბელქანია ნოდარ
4. წერეთელი მზია
5. ჯავახიშვილი ნინო
6. ჩიტაშვილი მარინე
7. აბაშიძე თამარ
8. აბზიანიძე შალვა
9. არუთინოვა ლუიზა
10. კუტალაძე ია
11. ყიფიანი გიორგი
12. ნადირაშვილი დიმიტრი
13. ჯორბენაზე რევაზ
14. მელიქიშვილი მანანა
15. ქიტიაშვილი ანასტასია
16. ბაინდურაშვილი ნუგზარ
17. გოროშიძე გიორგი
18. ~~18~~. ელიავა მამუკა
19. კვანჭილაშვილი ელენე
20. მამუკაძე შორენა
21. ფირცხალავა ეკატერინე

პოლიტიკური მეცნიერება

1. კუხიანიძე ალექსანდრე
2. აბაშიძე ზვიად
3. მაცაბერიძე მალხაზ
4. დოლიძე ვალერიან
5. დუნდუა სალომე
6. ჟორჟოლიანი გია
7. მაჭარაშვილი ნანა
8. ~~8~~. მუსხელიშვილი მარინა

საერთაშორისო ურთიერთობები

1. რონდელი ალექსანდრე
2. დავითაშვილი ზურაბ
3. ასანიშვილი ფიქრია
4. კოვზირიძე თამარ
5. კაპანაძე სერგი

საზოგადოებრივი გეოგრაფია

1. სალუქვაძე იოსებ
2. გოგსაძე გიორგი
3. ბოკერია მარინა
4. პავლიაშვილი ნინო
5. მელიქიძე ვალერიან
6. დოლბაია თამარ
7. ხუტაშვილი მარი
8. კვინიკაძე გიორგი +

სოციოლოგია

1. კაჭკაჭიშვილი იაგო
2. ბერძენიშვილი ამირან
3. სურმანიძე ლალი
4. დურგლიშვილი ნინო
5. წულაძე ლია
6. დონაძე ნათელა +

ჟურნალისტიკა

1. ტორაძე მაია
2. ჩარკვიანი ხათუნა
3. ლომიძე ელზა
4. იბერი ელდარ
5. ღვინერია ირინა
6. წერეთელი მარი +
7. ოსეფაშვილი დალი +
8. ჩართოლანი გიორგი
9. ლომიძე მარინე
10. კაჭარავა ხათუნა
11. ჭალაგანიძე ნინო

სტუდენტური თვითმმართველობა

1. ნახუცრიშვილი კონსტანტინე +
2. გოგსაძე საბა +
3. ჭანტურია გიორგი
4. ლავრელაშვილი თეონა
5. ცქიტიშვილი თამარ
6. კობახიძე ნიკოლოზ
7. ტარასაშვილი მარიამ
8. კუჭუხიძე ვასილ
9. მირზიკაშვილი ზურაბ
10. თარხნიშვილი თინათინ
11. წერეთელი ელენე
12. ბეჟანიშვილი ანა
13. ~~ნადირაძე დიმიტრი~~
14. ~~სამხარაძე მიხეილ~~
15. ალიმბარაშვილი ნანი
16. სართანია ლია
17. ბარამიძე ნინო
18. თორია ლევან
19. მურღულია ცოტნე
20. კურდღელაშვილი ანა

თბილისი, 26 ოქტომბერი, 2009

პროფესორ ნოდარ ბელქანიას,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის დეკანს

ბატონო ნოდარ,

გთხოვთ, ა.წ. 30 ოქტომბერს გასამართ ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე განსახილველ საკითხთა შორის შეიტანოთ ორი წიგნის გამოქვეყნების საკითხი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ.

წიგნების სათაურებია:

საზოგადოებრივი გეოგრაფიის საფუძვლები. სახელმძღვანელო საბაკალავრო პროგრამის კურსისათვის "საზოგადოებრივი გეოგრაფიის შესავალი". ავტორი – იოსებ სალუქვაძე. მოცულობა – 160 ნაბეჭდი გვერდი; დაახლოებით 50 რუკა, გრაფიკი და სურათი. შავ-თეთრი, 10 გვერდი ფერადი ჩანართით. სავარაუდო ტირაჟი – 600 ცალი.

თბილისი ცვლილებების ხანაში: ურბანული სივრცის სოციალურ-კულტურული და გეგმარებითი განზომილებანი. სტატიების/ესსეების თემატური კრებული 15 ავტორის (მათ შორის 5 უცხოელი) მონაწილეობით. შემდგენლები - იოსებ სალუქვაძე, კრისტოფ ვან აშე, ნიკა შავიშვილი. მოცულობა – 350 ნაბეჭდი გვერდი; დაახლოებით 10 შავ-თეთრი ილუსტრაცია და სქემა. შავ-თეთრი. სავარაუდო ტირაჟი – 300 ცალი.

წიგნების ტექსტური ნაწილების ამონაბეჭდები წარმოდგენილ იქნება.

პატივისცემით,

იოსებ სალუქვაძე, პროფესორი

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს
ქალბატონ ირინე დარჩიას

ასლი: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს,
პროფ. ნოდარ ბელქანიას

ქალბატონო ირინე,

გაცნობებთ, რომ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებულია მეორე უცხო ენაში სავალდებულო 20 კრედიტის (4 სემესტრი) შესრულება.

სამწუხაროდ, მეორე უცხო ენის სწავლებასთან დაკავშირებით გვექმნება ტექნიკური ხასიათის პრობლემები. ჩვენ სტუდენტებს, რომლებმაც მეორე უცხო ენად აირჩიეს აღმოსავლური (არაბული, სპარსული ან თურქული) ენა, სტუდენტთა სიმცირის გამო სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტისთვის აღნიშნულ ენებში არ იქმნება ჯგუფები. სტუდენტებს უხდებათ ამ ენების ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე გავლა, რაც მათ უქმნის ცხრილთან დაკავშირებულ დიდ სიძნელეებს. გარდა ამისა, სიტუაციას ართულებს უცხო ენის მასწავლებელთა ხშირი ცვლა.

მთლიანობაში, ვერ მიიღწევა ის ეფექტი, რომელიც გათვალისწინებული იყო ჩვენი მიმართულებაზე მეორე უცხო ენის სწავლებასთან მიმართებაში. აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ჩვენს მიმართულებაზე მეორე უცხო ენას უნდა მოეხსნას სავალდებულო სასწავლო კურსის სტატუსი და ის არჩევითი კურსი უნდა გახდეს. აღნიშნული ცვლილება ჩვენს საბაკალავრო პროგრამაში შევა 2010-11 სასწავლო წლიდან, რადგან მიმდინარე წლის სასწავლო პროგრამა უკვე დამტკიცებულია. მაგრამ, მეორე უცხო ენასთან დაკავშირებული ამჟამად არსებული პრობლემის გადაწყვეტასთან დაკავშირებით, მოგმართავთ თხოვნით, რომ ნება დაგვრთოთ შემდეგზე:

1. დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს (მათ, ვისაც მეორე უცხო ენაში ჯერ არ აუღია 10 კრედიტზე მეტი) მეორე უცხო ენაში კრედიტები შეუმცირდეთ 20-დან 10-მდე.
2. ამ სტუდენტებმა ძირითადი სპეციალობისთვის აუცილებელი დარჩენილი კრედიტები დაიფარონ საზოგადოებრივი გეოგრაფიის კურიკულუმის სავალდებულო-არჩევითი კურსების ხარჯზე.

წინასწარ მადლობას გიხდით დახმარებისთვის.

პატივისცემით,

გიორგი გოგსაძე,
პროფესორი, საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების ხელმძღვანელი

აკადემიური მრჩევლის სამსახური

(საფაკულტეტო დონე)

1. სტრუქტურა

1.1. აკადემიური სამსახურის ხელმძღვანელი (უმაღლესი ინსტანცია) – ფაკულტეტის დეკანი

1.2. ყოველ მიმართულებას ეყოლება აკადემიური მრჩევლები ადმინიდტრაციულ და აკადემიურ საკითხებში. მიმართულებაზე აკადემიურ მრჩეველთა რაოდენობა განისაზღვრება სტუდენტთა რაოდენობის შესაბამისად.

2. ფუნქციები

2.1. ადმინისტრაციული აკადემიური მრჩევლის მოვალეობა იქნება:

2.1.1. სტუდენტის *სრულყოფილი და ადეკვატური ინფორმირება* უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის – საორგანიზაციო საკითხების, პროგრამების, მოდულების, ძირითადი და დამატებითი სპეციალობების, სავალდებულო და არჩევითი საგნების და ა. შ. შესახებ.

2.1.2. სტუდენტის დახმარება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ტრაექტორიის) შედგენისას *კრედიტების ადეკვატური დაგროვებისა და განაწილების* თვალსაზრისით, შესაბამისი *მონიტორინგი* და *რეაგირება* (სტუდენტის ინფორმირება შექმნილი პრობლემის შესახებ და გამოსავლის ძიებაში დახმარება)

2.1.3. სტუდენტების დახმარება *კვლევით და სასწავლო პროგრამებში,* აგრეთვე *შემოქმედებით, კულტურისა და სასპორტო ღონისძიებებში* მათი ჩართვის მიზნით (საინფორმაციო უზრუნველყოფა, საჭიროების შემთხვევაში დახმარება შესაბამის დეპარტამენტებთან ურთიერთობისას).

2.1.4. სტუდენტების დახმარება *გაცვლით ან სხვა საერთაშორისო პროგრამებსა თუ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად* (საინფორმაციო უზრუნველყოფა, საჭიროების შემთხვევაში დახმარება შესაბამის დეპარტამენტებთან ურთიერთობისას).

2.1.5. *სტუდენტებისათვის საჭირო რჩევების მიცემა და მხარდაჭერა ჯანდაცვის, სამართლებრივი ან სოციალური პრობლემების წარმოქმნის შემთხვევაში* (საინფორმაციო უზრუნველყოფა, საჭიროების შემთხვევაში დახმარება შესაბამის დეპარტამენტებთან/სპეციალისტებთან ურთიერთობისას).

2.1.6. სტუდენტთა ადვოკატირება ადმინისტრაციულ პრობლემებთან დაკავშირებით.

2.1.7. სტუდენტთა მიერ სასაწავლო გეგმების შედგენისა და რეალიზაციისას გამოვლენილი ადმინსტრაციული პრობლემების დაფიქსირება და შესაბამისი ინფორმაციის ხელმძღვანელისათვის გადაცემა.

2.1.8. სტუდენტთა მიერ სასწავლო პროცესისა და ცალკეული დისციპლინის შეფასების დაფიქსირება, შესაბამისი ინფორმაციის ხელმძღვანელისათვის გადაცემა.

2.2. პროფესიული აკადემიური მრჩევლის მოვალეობა იქნება:

2.2.1. სტუდენტის დახმარება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ტრაექტორიის) შედგენისას *პროფესიული* ნიშნით (სასწავლო დისციპლინების შერჩევა შინაარსობრივი თვალსაზრისით, დისციპლინათა თანმიმდევრობის ადეკვატური განსაზღვრა და ა. შ.), შესაბამისი *მონიტორინგი* და *რეაგირება* (სტუდენტის ინფორმირება შექმნილი პრობლემის შესახებ და გამოსავლის ძიებაში დახმარება)

2.2.2. სასწავლო პროცესის გაგრძელებისა (მაგისტრატურა, დოქტორანტურა) და კვლევით საქმიანობაში ჩართვის მოტივაციის გაძლიერება სტუდენტებში.

2.2.3. სტუდენტთა ადვოკატირება აკადემიურ პრობლემებთან დაკავშირებით.

2.2.4. სტუდენტთა მიერ სასაწავლო გეგმების შედგენისა და რეალიზაციისას გამოვლენილი აკადემიური პრობლემების დაფიქსირება და შესაბამისი ინფორმაციის ხელმძღვანელისათვის გადაცემა.

2.3. **აკადემიური სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობა იქნება:**

2.3.1. აკადემიურ მრჩეველთა საქმიანობის კოორდინაცია და მოტორინგი.

2.3.2. აკადემიური მრჩევლის მიმართ გამოვლენილი პრეტენზიის შემთხვევაში პრობლემის განხილვა და შესაბამისი რეაგირება.

2.3.3. აკადემიური მრჩევლებისაგან მიღებული ინფორმაციის თემატური დალაგება და მიწოდება შესაბამისი დეპარტამენტებისა თუ აკადემიური პერსონალისათვის.

3. უფლებამოსილებები

3.1. უფლებამოსილება შესაბამისი დეპარტამენტებისაგან ინფორმაციის მიღებასა და პრობლემურ სიტუაციაში რეაგირებასთან/ჩარევასთან დაკავშირებით.

3.2. უფლებამოსილება აკადემიური პერსონალისაგან ინფორმაციის მიღებასა და პრობლემურ სიტუაციაში რეაგირებასთან/ჩარევასთან დაკავშირებით.

4. მოტივაცია

4.1. სხვა მოვალეობათა ნაწილისაგან გათავისუფლება (მაგალითად, საათობრივი დატვირთვის ნაწილი) იგივე ხელფასის შემთხვევაში.

4.2. აკადემიური მრჩევლის მოვალეობების შესრულებისათვის გარკვეული ხვედრითი წილის მინიჭება კონკურსის დროს.

5. შერჩევის წესი:

5.1. კანდიდატის თანხმობა

5.2. საბჭოს სხდომა

5.3. სტუდენტთა რეკომენდაცია (სტუდენტთა გარკვეული რაოდენობის ხელმოწერები)